

„მოდით მოუღე კუდსაო, ბატონი მოქცემს ქუდსაო
 მოგცემს და ისევ წაგარბიშვებს, სუ დაგაკლდებთ გულისაო“.
 (ხალხური ანდაზა)

№
28

1920 წ.
ივნისის 6



ორი ქსე, ორი არწივი და ჭაბუკი.

იყო ერთი ჭაბუკი—ამაყი, მხნე, ლალი და მამაცი.

თავი არასოდეს დაუხრია მიწისკენ და სულ ცაში იყურებოდა:

— მზე უყვარდა ძლიერ და კიდევ არწივი.

მზეს მის გარდა თვალს ვერაფერს უსწორებდა. ის კი დაუხამხამებლად გაუყრიდა თვალს და სიამისაგან უხმოდ იციინოდა.

არწივს რომ დაინახავდა, გული აუთრთოლდებოდა ხოლმე და ხელებს ზევით ასტყორცნიდა, არწივისაკენ, თითქოს ფრთებსა ჰშლის და გაფრენა უნდაო.

— რა არის, რომ სულ ცაში იტყობები? განა კისერი კი არ გეტკინება?—ჰკითხავდნენ ზოგნი და იციინოდნენ.

— ნუ გეშინიანო!—მიუგებდა და არც კი შეზხედავდა, ისევ ზევით იყურებოდა, ცისაკენ.

— მაინც, რა დაგიკარგავს იმ ღრუბლებში, თვალს რომ არ აშორებო?—ჰკითხავდნენ სხვები.

— სინათლე და თავისუფლებაო!—მიუგებდა.

— როდის უნდა მოსწყვიტო თვალი ამ ცის გუმბათსო?—ჰკითხავდნენ კიდევ მესამენი.

— თქვენა და თქვენისთანები რომ მზესავით ნათელი და არწივისავით თავისუფალი გახდებითო!—მიუგებდა.

— გიყიო!—ამბობდნენ მისთვის ზოგნი და დასციინოდნენ.

— ხალხსა ჰრყენისო!—გაიძახოდნენ ძლიერნი ქვეყნისანი და საპყრობილეში ამწყვედვდნენ, აწამებდნენ და სტანჯავდნენ.

— ეგ არის ჩვენი მწე და მეობი: გზას გვიკვლევს და წინ მიგყვარათო!—ჩურჩულდებდნენ აქა-იქ და თვალს არ აშორებდნენ.

ის კი ისევ ცაში იყურებოდა ნიადაგ და უშიშრად მოუწოდებდა ხალხს:

— დაამკვიდრეთ ქვეყნათ ნათელი მზისა და თავისუფლება არწივისაო!

თან და თან იზრდებოდა ჭაბუკის მიმდევართა რიცხვი და ბოლოს ყველამ იწამა იგი.

აუღეს მას მშვენიერ კორდზე ლაშაი სასახლე, გაუშენეს წალკოტი და ხელით აიყვანეს ახალ ბინაზე.

— ჩვენთვის ეწამა, ჩვენთვის ეწეო და ჩვენვე უნდა დაეუპოთო წყლულები. . . დე, მოსვენებით და უზრუნველათ იცხოვროს: უფრო გავგიკვლევს გზასო!—ამბობდნენ.

და ჭაბუკი მრავალ-ჭირახული, გამხდარი და გაფითრებული დამკვიდრდა ახალ სახლში. თვალები

ისევ უწინდებურათ უღოვდა და ცისკენ ჰქონდა მიპყრობილი, მზისა და არწივისაკენ.

მაგრამ ისე ლაშაი იყო სასახლე და ისე თვალწარმტაცი წალკოტი, რომ ჭაბუკი ხან და ხან მათი ცქერითაც სტკებოდა და მაშინ ღროვებით ავიწყდებოდა მზე და არწივი.

ერთხელ მივიდა მასთან კაცი ვინმე შემპარავი, მსუქანი, მამდარი და კმაყოფილი, სალამი მისცა და უთხრა:

— მამატივე კადნიერება, მაგრამ ერთი რამ უნდა გკითხო: სულ რომ ზევითკენ მიიღრვი და მზე-სა და არწივს უცქერი, განა შეიძლება მათი მიწვდომა? ვის შეუძლია ხალხის იმ სიმაღლეზე აყვანა და ცაში დასახლებაო?

— ეგ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ მზის და არწივის დედამიწაზე ჩამოტანა კი შესაძლოაო,—უპასუხა ჭაბუკმა.

— ჰიე-ჰიე-ჰიე!—გაიციინა კაცმა: განა ჩამოსატანადაც ასეა არ დაგჭირდებაო?

ჭაბუკი შეჩერდა, წარბები შეჰკრა და პრისხანეთ უთხრა:

— მაცდური ვინმე ყოფილხარ! წადი აქედანო!

— ჰიე-ჰიე-ჰიე!—კიდევ გაიციინა შემპარავად კაცმა: მიტომ მოგახსენე კადნიერი სიტყვა, რომ მე მივაგენი საშვალეებს და შემიძლია მზესა და არწივს მივწვდეთო.

— წადი! არ მინდა შენი საშვალეაო!—გაურისხდა ჭაბუკი და გაშორდა იმ კაცს.

მარტო რომ დარჩა, იმ კაცის სიტყვებში ჩააფიქრა. ნეტა რა საშვალეებს მიაგნოო—ჰფიქრობდა ჭაბუკი.

მეორე დღესაც მივიდა ჭაბუკთან ის კაცი და მესამესაც.

ბოლოს ვეღარ მოითინა ჭაბუკმა და ჰკითხა, აბა მითხარი, რა საშვალეებს მიაგენი მზისა და არწივის მისაწვდომათო.

მაშინ იმ კაცმა წაიყვანა ჭაბუკი, მიაყვანა ერთ ქაობს, რომლის ზედა პირი უძრავი და სარკესავით სწორი იყო, გააჩერა და უთხრა:

— აბა, მოაშორე თვალი შენს მზესა და არწივს და შეჰხედე ჩემსასო!

ჭაბუკმა მოსწყვიტა თვალი ზეცას, ჩაიხედა ქაობში და საოცარი რამ დაინახა: სწორედ ის ზეცა, რომლისთვისაც აქამდე თვალი არ მოეშორებია, აქ ჩამოხილიყო, ამ ქაობში, თავის ღრუბლებიანათ, ზედ ანათებდა იგივე მზე და ღრუბლებში ლაღად დანავარდობდა იგივე არწივი.

— რას იტყვიო?—ჰკითხა კაცმა.

ჭაბუკი მუნჯვით იდგა ერთ ადგილას და თვალს ვერ აშორებდა საკვირველ სურათს.

— როგორ გგონია, რა არის უფრო ადვილი: იქ, შენს მზესა და არწივთან ასვლა, თუ აქ, ჩემს ცაზე დაშვებაო?

ჭაბუკი ისევ ისე უძრავადიღდა, გაშტერებული, მაშინ კაცმა ხელი ხელში ჩაეღო და შუა ქაობისკენ წაიყვანა.

ჭაბუკი ანგარიშ-მიუცემლათ მიჰყვებოდა თან კაცს და თვალს ვეღარ აშორებდა ქაობში გამო. სულ მზისა და არწივის ანარეკლს.

ეს კაცი მართალს ამბობს—ჭეჭრობდა იგი: მაგისი მზე და არწივი უფრო ადვილი მისაღწევია ვიდრე ჩემიო.

და ჭაბუკი იმ კაცთან ერთად ჩაეშვა შუა ქაობში.

ასე ჩაიძირა თავისუფლებსა და სინათლის მოყვარული ჭაბუკი ბაყაყებშია და ქვეწარმავალთა საბუღარში.

თაგუნა.

ტაში-ტუშის სიმღერა

(გ. ქუჩიშვილს)

1.

კლდეში ჯოჯო დალოგინდა,
მღვიმეს შემოუსტვინა,
უსტვინა, უსტვინა...

კლდესა ტლაშანი ავარდა,
სოფლის ბოლოს უწვდინა,
უწვდინა, უწვდინა...

ხუცესს ღიბი გაუსივდა,
ქინკამ თურმე უკბინა,
უკბინა, უკბინა...

ნაბატონარს შვილიშვილი
დაეზადა უტვინო,
უტვინო, უტვინო...

2.

ყანას მწყერი გაგოგმანდა ნელა...
ნელა...

ყაყაჩო წამოაქცია ცუგრუ...
მელა...

ბოქაულობს კომისარი მელა...
მელა...

გადაგველაშოს ლამის არი ყველა...
ყველა...

3.

ურმის კოფოზე წყალი გუბს,
შიგ ორავული მიცურავს,
მიცურავს, მიცურავს...

ცამ თუ იცის ცოდვა მადლი,
წყალს არადაგვიწურავს,
გვიწურავს, გვიწურავს...

ქობშიც წყალი ჩამოსულა,
დარბაზს ვინ დაგვიხურავს,
გვიხურავს, გვიხურავს...

ნიავე ფოთოლს მიაყრის
ქარი შეგვიმიწურავს,
მიწურავს, მიწურავს...

4.

გასტიგუგუ ჩამოვამი
წვიმის ცვარზე ავიკიდე,
ავიკიდე...

ღვდელს უზალთუნი შევაბი,
შევაბი და დავჭკიდე,
დავჭკიდე...

საბაკოზე არ გამიშვეს,
თავსა ბალა წავეჭკიდე.
წავეჭკიდე...

ძაღლის ხიღზე გავიარე,
ვერც შაურად გავჭკიდე,
გავჭკიდე...

5.

ორღობე ჩამოვიარე,
ზვარი და ვენახი,
ზვარი და ვენახი...

გუთნის ერქვანს უღრუტუნებს
წვინტლაძიანთ ტახი,
ტახი, ტახი...

ბიკო გოგო მოგინდება,
შენზედ არის ახი,
ახი, ახი...

კუდ ბოძალი, თავ კობალი,
ეშმაკის მათრახი
ეშმაკის მათრახი...

6.

საქართველოს ვინ აჯაგრებს,
მოწყენილი რათ არი,
რათ არი, რათ არი...

თარაქამა დაგვემუქრა,
მაგომედა თათარი,
თათარი, თათარი...

ყიზილბაში ქემალუშა,
რუს ლენინიც აქ არი,
აქ არი, აქ არი...

ჩვენი ჯარი და გვარდია
ფეხზე სდვას და მზათ არი,
მზათ არი, მზათ არი...

7.

ჩვენ რომ დიდი ღმერთი გვეწყალობს
მტერს რათ არა ჰგონია,
რათ არა ჰგონია...

თავისუფლების ტაძარი
სხვას რათ არა ჰქონია,
რათ არა ჰქონია...

რათა ბიკო, რათა ბიკო,
სხვას რათ არა ჰქონია!...

საქართველომ ააშენა—
სხვას რათ არა ჰქონია,
სხვას რათ არა ჰგონია...

დღეს არ იცის, ხვალ გაიგებს
მეტი რა ღონეა,
მეტი რა ღონია...

8.

ჩვენი ცდანი საგმირონი
სუ სავარგონია...
შვილი შვილთა ჩვენ საფლავზე
ვარდი დარგონ ია...
ერთობაა ქრისტე ღმერთი,
ჩვენ ასე გვგონია...
მიწა ჩვენი სამშობლოა—
მზე იორდანია...
ივანე ნათლის მცემელი—
ნოე ჟორდანია...

ვინტარი.

პატარა ფელეტონი.

სჯობს სახელისა მოხვეჭა...

„რა უარეა მამაცსა,
ომშიგან პირს მღმეკელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა
და სიკვდილისა მექველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს
ღიატსა, ქსლისა მბეჭველსა,
—სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა.“

შოთა რუსთაველი.

მახსოვს, ერთი ვიღაცა ქართველი მწერალი
სამი წლის განმავლობაში თანდათანობით ჰკრეფ-
და „ვეფხვის ტყაოსნიდან“ ეგრედ წოდებულ „ყა-
ლბ ადგილებს“ და როცა ვეფხის ტყაოსანი აღარ
ეყო, „ქილილაზე“ გადავიდა.

რკინის გზის მოსამსახურე ბარბაქაძე კი ასე
სრულიდაც არა ფიქრობდა. მას მისმა ბებიაშ
ბავშვობის დროსვე შეასწავლა საუკეთესო ადგილები
შოთას პოემისა. მათ შორის პატარა ბარბაქაძემ ყვე-
ლაზე უფრო ზემორე მოყვანილი ტაეპის მეოთხე
პუკარი—

„სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა“ — დამახსოვნა.

ის მუდამ იმის ცდაში იყო, რომ მისი სახელი
მთელ საქართველოს გაეგო და ეს ოცნება არ და-
ვიწყებია არც მაშინ, როცა ჩვენს მატარებელს
ადირბეიჯანის საზღვრებში შეჰკავა. ბარბაქაძე თან
ერთად ას ცხრაშეტი ქართველი კიდევ სხვა იყო
ქართულ მატარებელზე, მაგრამ არც ერთმა იმათ-
განმა არ იცოდა, რომ „სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა.“ ეს არ ცოდნა მათ არც
ჩაეფლავებათ დიდ დანაშაულათ, ვინაიდან ბებიას
მათთვის არ უსწავლებია ვეფხვის ტყაოსანი.“

ქართული მატარებლის შესვლაზე ადირბეიჯა-
ნი უბრალო ბურჟუაზიული რესპუბლიკა იყო და
იქ თავის მოწონება ყველა ქართველს შეეძლო

მაგრამ ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ქართველი
მატარებელი ბაქოს სადგურზე იდგა, ადირბეიჯანი
უცებ გაწითლდა, გაკომუნისტდა, გაფედერალისტ-
და და გასაბჭოთა რესპუბლიკდა.

მდგომარეობა ძირიან ფესვიანად შეუცვალა და
ცხადია, აქ თავის მოწონებას ყველა ქართველი ვერ
შესძლებდა!

კომისარმა ჩანჩურ ოღლიმ დაიბარა ქართველი
რკინის გზელები და განუცხადა მათ:

— ამხანაგებო! თქვენს ქვეყანაში დღესაც კონტრ-
რევოლიუცია მძვინვარებს, ბურჟუაზია არის გამე-
ფებული. ეს თქვენი ბრალი არის... რას იზამთ,
ყველაფერს შეგნება და მომზადება სჭირია! თქვენ
ჯერ-ჯერობით კულტურის დაბალ საფეხურზე
სდგებართ და აპროტომაკ ვერ შეათვისებთ საბჭოთა
ადირბეიჯანის მაღალ კულტურას. მაგრამ ჩვენ იმე-
დი გვაქვს, თან და თანობით თქვენ შესწავლით
პროლატარიატის გზას და თუ ალაჰმა ინება, სამო-
თხეში შეხვალთ. ამისთვის, ამხანაგებო, საჭიროა
თქვენ შეხვიდეთ ჩვენს სამსახურში, ადირბეიჯანში
დარჩეთ და ისწავლოთ ჩვენგან სოციალიზმი.

ოცდა ცხრაშეტი რკინის გზელს გულიანათ გაე-
ცინა.

— ჩვენ მშვენიერად გხედავთ თქვენს უპირა-
ტესობას, მიუგო ერთმა მათგანმა— გხედავთ თქვენს
საუცხოვო წესრავს, თქვენს შეგნებას და განვი-
თარებას, მაგრამ თქვენთან დარჩენა არ შეგიძლია.
აბა რა თქვენთან გამოსაჩენი პირი გვაქვს ჩვენ,
ბურჟუებსა და კონტრ რევოლიუციონერებს!! გმა-
დლობთ, ამხანაგო, კეთილი სურვილებისათვის.

მე ას ოცე ქართველი რკინისგზელი პატარნი
ბარბაქაძე ან დროს სულ-გატრუნულ იყო. ის დაიწინე
ბით ფაქრობდა შოთა რუსთაველის სიტყვებზე: სჯობს
სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“

— ამხანაგო ჩანჩურ! — დაიწყო მან მცირე ყოყ-
მანის შემდეგ: — მართალია ერთი მერცხალის მოფ-
რენა გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მაგრამ მე მინდა
ჩემ შეუგნებელ თანამემამულეთა უმაღური საქციე-
ლი გამოვასწორო, მე დავრჩები თქვენთან, მე შე-
ვისწავლი თქვენს მეცნიერებას და მერე წაგიყვანთ
ჩემს სამშობლოში ჩემი უბედური ქვეყნის გასანათ-
ლებლათ.

ჩანჩურ ოღლი ძლიერ გაახარა ამ გარემოებამ,
მაგრამ არც ბარბაქაძე მოტყუებულა ანგარიშში:

ას ოც ქართველ რკინის გზელთა შორის გა-
ზეთებმა მხოლოდ მარტო იმისი გვარი აღნიშნეს,
დანარჩენი 119 ქართველი რკინისგზელი, რომელთაც
ადირბეიჯანთან თანამშრომლობაზე უარი სთქვეს, ვინ
იყვნენ, ჯერაც არავინ იცის. ისტორიას მხოლოდ
ბარბაქაძის სახელი ვადავსა.

„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახ-
ვეჭელსა“.

მორიელი

შექნჯაღებულის ლექსები

აირი და მიირი
 დაუკარით დაირი,
 სულ სხვა და სხვა ნაირი...
 დაუკარით გიტარა,
 გინდ იტყვეთ, გინდ არა...
 დაუკარით პიანინო,
 უნდა ვათამაშოთ ნინო...
 (ჩუმათ! ცხვირზე არ მიკბინო).
 დაუკარით როიალი...
 ჩამოუვლის ჩემი ქალი...
 როგორ ცხოვრობ ყარდაშ, ალი?!
 ხომ არ გტკივა ჩემო, ძვალი?
 არ სჯობდა აჯაფ-სანდალი
 გეჭამა ადერბეიჯანში?!
 რათ ამოგიღე ნიშანში?!
 მოგენატრა ვგონებ ფლავი?
 თქვენი ომიც ჩანაფლავი.
 ზავი გეუხვევ დროებითი,
 სწორედ რომ ყოფილხარ ფინთი!!
 არ გეომათ, რა გიშავდათ?
 განა ბატონი არ გყავდათ?
 „გაწითლება“ დაიჟინეთ,
 თავზე სხვები დაიჟინეთ,
 გაგიფრინდათ რესპუბლიკა,
 არ გაქამეს თქვენ ბუბლიკა?!?
 და ვკონებ „ავტონომია“,
 დიდ რუსეთს შენთვის სდომია,
 მაგრამ, ეჭვ ძმაო ალია,
 რაც მოხდა შენივ ბრალია...
 ჯერ ბევრს მოგ კხებენ ძალიანს,
 თქვენა და თქვენს კვანტალიანს,
 თქვენ მაშინ მოხვალთ ჰკუაზე,
 როცა მიდგებით ყუაზე...
 მტერს მუხთალს მუშუტი მაგარი
 კისერში თუ არ ჩაჰკარი,
 ისე ვით დაიმეგობროთ
 რომ მოსვენებით იცხოვროთ...
 მტერს ვინც რისხვას არ უჩვენებს,
 ის ვერას დროს მოისვენებს,
 მას თაობა შეაჩვენებს,
 მომავალი ზურგს უჩვენებს
 კრულვა რისხვით მოიხსენებს.
 კუკ-კოლის ვინ წაასვენებს?!
 რავენათ, კადვე არ გვასვენებს,
 (იმას ღმერთი შეაჩვენებს)
 ბათუმის ოლქს ის „პატრონობს“,
 ყაჩაღებს აძლევს პატრონებს,
 თავხედებს აიარაღებს.
 ჩვენს სახლის კარს ურცხვად აღებს,
 ურცხვად სთელავს ჩვენს, ბაღებს,

მაგრამ თავზე ხელ-ანაღებს,
 მის მსგავს თავხედ, ფლიდ ყაჩაღებს
 ჩვენ აქედან გზას უჩვენებთ...
 პირ-უკულმა წაასვენებთ...
 ფლიდმა ბარდი სულ ვერ დლიტოს,
 რაძენიც რა ითაღლითოს,
 სურს მტრებს ჩვენზე მიუთითოს,
 ძმები ძმებსა გადაჰკიდოს,
 ტკბილი ლუკმა რომ ხელთ იგდოს.
 კუკ-კოლისი, კუკ-კოლისი
 ყველამ ვიცით საქმე მისი,
 მჯერა, მჯერა, მოვესწრები—
 — ძირს ეყაროს ჩვენი მტრები,
 დაღწილი ქონდეთ მხარები,
 ჩვენი ჯარი, მძლე მხედრები.
 მტრებს ებრძვიან ვით აფთრები...
 დაუბნიეს მათ დაფთრები...
 დღეს მღერიე წყლით დაფითვრები,
 ჩემს ანუსის ჩავეკვრები...
 დიბ-ტრუმ. . დიბ-ტრუმ!...
 დიბ-ტრუმ, დიბ-ტრუმ
 აბა, დოლი, აბა, თარი!
 ტაში ბიჰო, ტაში, ჩქარა,
 დავტრიალდეთ როგორც ჯარა,
 ჯერ ჩამოვიცვთ მესტები...
 რუსეთის კომუნისტების,
 პარტია რათ დაიშალა?!
 მოლოდინმა გაუწყალა
 საცოდავებს გული, სული,
 სცილიობდნენ ძალა რუსული
 ჩვენს საქმეში ჩაერიათ,
 მაგრამ გზა კი აერიათ...
 ლენინს ფული გაუფლანგეს,
 მახე ყველგან მრავლად აგეს,
 „სოვენარკომი“ ვერ ააგეს
 საქართველოს სამეფოში...
 შეაყოლონ მაშ ბაქოში,
 ჩამოიცვან ფეხზე ქოში...
 მაგრამ არა, დახე მელა?!-
 — არ სურთ დასთმონ საქართველო!
 კვლავ სურთ გაიტანონ ლელო,
 არც ნაკლები და არც მეტი-
 ცენტრალური კომიტეტი
 შექმნეს საშობლოს ფარგებლში
 რომ ცხვრები არიონ მგლებში,
 კვლავ რომ ვინმე მოპატიჟონ,
 კვლავ რომ ვინმე გააგიჟონ...
 დიბ-ტრუმ-დიბ-ტრუმ!...
 დოლი, თარი,
 აბა ბიჰო, ტაში, ჩქარი...
 ნახეთ, ახლად გამომცხვარი
 „მოლოდინი პროლეტარი“

„მწუთხე“ არის ნამეტარი,
 მოუწოდებს ახალგაზრდებს,
 „კომუნისთვის“ ვინც თავს დასდებს,
 ყმაწვილებს უწვდიან ხელებს-
 ნორჩებს, სისხლ-მჩქეფთ და ტვინთხელებს;...
 (აღბათ კიდევ ასახელებს)
 გურულ-იმერ ქართლ-ახელებს-
 — აღარ სტოვებენ არავის...
 ჩუ! კიკინი მესმის კრავის...

შექანჯალებული

ყვითელი ფოთლები

მე პატარობიდანვე შევიყვარე ყვითელი ფერი ჩემი სააღდგომო ბლუზა უეჭველათ ყვითელი ფერის უნდა ყოფილიყო, ჩუსტებზედაც ყვითელი არ-შია მიყვარდა, ხოლო პასკა ყოველივე ექვს გარეშე ყვითელი კოჭით უნდა ყოფილიყო შეზავებული.

ამ ყვითელ ფერისადმი სიყვარულში ბებია ჩემს მიუძღვის უმთავრესი ღვაწლი.

— წადი, შვილო, მამა შენს ყვითელი აბრეშუ-მის ჭიის თესლი აყიდვინე, მერე როცა პარკს გაე-ყიდი ყვითელ ბლუზას გიყიდიო—მეტყოდა ხოლმე ბებია ჩემი და პირნათლათ ასრულებდა თავის და-ნაპირებს.

— ბები! რატომ ყვითელ თესლს ყიდულობ, თეთრი არა სჯობია? შევეკითხებოდი ხოლმე მე.

— ყვითელი პარკი უფრო ძვირიათ ფასობს—გე-ნაცვალოს ბები.

— ყვითელი პარკის სიძვირე თეთრზე ჩემთვის საკმარისი შეიქნა, ყვითელი ყველაფერი მაღლა დამეყენებია თეთრზე და წითელზე.

რაც დრო გადიოდა ყვითელ ფერს უფრო თა-ყვანს ვცემდი და ვეძებდი ჩემებრ მის მოყვარულებს, მაგრამ ამათ, ჩემი პარტიის ხალხს ვერ მივაგენი.

ერთ მშვენიერ დღეს სრულად მოულოდნელათ ამეხილა თვალები. თურმე თფილისში, ჩემს საყ-ვარელ თფილისში, მთელი ორგანიზაცია ყვითლე-ბისა.

— ოხ, თედო ლლონტო, შენი სულის ჭირიმე, შენი! თუ შენ არა, მე დღესაც ობოლი ვიქნებოდი.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ თედო ლლონტის ნა-წერებს დიდი ხანია ვკითხულობ, და არც ერთხელ ამ ხნის განმავლობაში მისი წერილის შინაარსი არ გამიგია. დღეს კი, ოხ თედო! თედო!

თურმე მთელ თფილისის კავშირებში ყვითელი მუშები ყოფილან, მე კი ისინი წითლები მეგონენ და შეჯავრებოდნენ არა. როგორ ვერ შევატყვე ალ-ფეს ხელაძეს მაინც სიყვითლე? ყვითლების მეთაური თურმე ეს ყოფილა და მე კი არ ვიციოდი. პირველ მაისს ალფეს ხელაძეს წითელი ლენტი ჰქონდა გუ-ლზე მიბნეული (ცხადია, ჩემ მოსატყუებლათ)

— ოხ, თედო! თედო! რითი გადაგიხადო ესო-დენი სიკეთე? მთელი ის წყველა საყვედურები, რაც „მეცნიერული“ წერილების კითხვის დროს შენთვის გამომიგზავნია—რო უკან წავიღო მაინც არ იქ-ნება გადახდილი შენი სიკეთე!

— მაშ გაუმარჯოს თედო ლლონტს და მის ყვი-თელ აღმოჩენას!

— ღმერთმა აცხონოს ბებია ჩემი, რომელმაც შემეყვარა მე ყვითელი ფერი!

— ხოლო ბებია ჩემის დანაკლისი სიცოცხლე (ცხონებული 119 წლისა გარდაიცვალა). შემეტოს თედო ლლონტს!

ზომბოთელი.

სიღნაღელებს

ყური მიგღე შენ, მკითხველო,
 სიღნაღს გვაქვს სამკითხველო.

ათასობით წიგნებს ნახავთ
 ბულვარზედაც დაინახავთ.

მე მიშრება უკვე ხახა..

იქნებ მკითხო: რასა ჩემხავ?

წიგნები აქვთ დანომრილია,
 სიღნაღელებს უყვართ ძილი...

პური არ აქვთ, აქვთ ხომ ფქვილი.

მაწონი და ლეკის თხილი.

მუშაობენ ერობაში...

მათ არ უყვართ ტულუშმაში,

კარგია აქ დღეობაში,

ტიკით ღვინო, ჯამით ხაში,...

ბულვართანა ნახვ გველოს,

ყველა იმას შემოველოს

ნუნუათი საქართველოს

აკურთხებენ მერე გველოს.

ჩვენისთანა ბენდიერი,

და ექიმი კანდიერი

განა არის სადმე შვილი

გინდ ავიღოთ ბენაშვილი?

დროზე ნახე შენ ექიმი,

დაგინახავს, მოსდის ღიმი...

სასამართლოს გინდა გავლა,

დაგიხედება იქვე შალვა

წესი, რიგი კარგი გახლავთ

მაშინისტკებს დაინახავთ.

მანქანაზე მუშაობენ,

იმავ დროსვე ჰიკიკობენ.

ბულვარია სანატრელი

ღამით გინდა შენ სათელი,

ქუჩებია სრულად ბნელი,

სიარული გამართებს ნელნ.

შალაურელი.

კორესპონდენტი.


ანუ
სინდისიც კირგი საქონელია

„კორესპონდენტი იგია,
გაზეთს რომ მისწერს წერილსა.
თუ ტყუილები მისწერა,
სინდისზე ყოფილა მწყურალად.“
სოლომონ ზურგიელიძე.

ჩვენი ღვთაებრივი სოლომონი ყოველთვის და ყველაფერში წინასწარმეტყველი იყო. კორესპონდენტის ღირსებაზე სხვათაგან ბევრი უთქვამთ, მაგრამ სად სოლომონი და სად სხვანი! მოქალაქენო, სადღა არიან დღეს პატიოსანი და სინდისიერი კორესპონდენტები? ჩვენი, ქართული, პრესა ამ მხრივ განსაკუთრებულ კრიზისს განიცდის და ამიტომ ყოველი მაგალითი უცხოეთისა დიდის ყურადღებით უნდა შევისწავლოთ, შევითვისოთ და ცხოვრებაში გამოვიყენოთ.

მოქალაქენო! უცხოელები (მე ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და სხვათა პრესაზე მოგახსენებთ) არაფრის გულისთვის არ გადაუხვევენ სიმათლეს, პრესის მოსყიდვა მათ სიზმარშიაც არ დაესიზმრებათ, ფულის გულისთვის... მაგრამ რაღა გავაგრძელო, აი ქვემოთ მოყვანილი სურათები თქვენ ისედაც ნათლად დავიხატავენ მათ სიფაქიზეს.

სინდისიც კირგი საქონელია! (ქართული თქმა)



როდესაც პატივცემული კორესპონდენტი „ტამისისა“ ჯონ ჯოლი თფილისში ჩამობრძანდა, საქართველო უკვე ერთი წლის დამოუკიდებელი იყო. ის სახრჩობელები, რომლებიც ჩამწკვრივებული გეკონდა თავისუფლების პირველ დღეებში მთელ რუსთაველის პროსპექტზე და რომლებზედაც უმთავრესად რუსებსა და სომეხებს ვახრჩობდით (თქვენ კარგათ გეხსომებათ ეს ამბავი), ჯონ ჯოლის ჩამობრძანების დროს აღებული იყო და ამ გარემოებამ ძლიერ დააღონა პატივცემული ჯონი. მან მწუხარე თვალები მიმოავლო ქუჩას და ჰოი, საკვირველებავ!

— მარჯვნივ დუქანი!

— მარცხნივ დუქანი!

— ნეტავ რა არის ეს დუქანი?! ცნობის მოყვარეობით წარმოსთქვა ჯონ ჯოლმა და მარჯვნივ ჩაუხვია.

სინდისიც კარგი საქონელია! (ქართული თქმა)



როდესაც მარცხენა მხრის დუქნიდან ჯონ ჯოლი ქუჩაში ამოვიდა, ეს უკანასკნელი უკვე ნანგრევებსა და ჯოჯოხეთურ სანახაობას წარმოადგენდა. ჯონ ჯოლმა ამოიღო კარანდაში, ხოლო უბის წიგნის ნაცვლად სტერლინგი და დასწერა:

— ქალაქი თფილისი საშიშარ სანახაობას წარმოადგენს. არც ერთი სახლი, არც ერთი ტელეგრაფის ბოძი, არც ერთი ქუჩის ფანარი სწორათ არა დგას; ყველაფერი მინგრეულ-მონგრეული და მიღრეკილ-მოღრეკილია. ქუჩებში გააფთრებული ბოქსია (კრივი) გამართული. მდგომარეობა უცხოელისათვის სახიფათოა, არა თუ მარტო სურსათის მხრივ (აქ ერთ წვეთ ღვინოს ვერ იშოვნის) არამედ სიკოცხლის შენარჩუნების მხრივაც...

ჯონ ჯოლმა აიარ ჩამოიარა თფილისის ქუჩები და, როგორც დაკვირვებულ კორესპონდენტს შეეფერება, ყველაფერი გულის ფიცარზე დაიწერა.

ქართველი კორესპონდენტებო! ქუჩაში ნახულს გაგება, აწონ-დაწონვა, სინდისიერი შეფასება და შემდეგ მსჯავრის დადება უნდა! ჩვენ ამაში ჯერ-ჯერობით გამოუცდელი ვარა და მაშ პატივცემულ უცხოელ ჯო ჯოლის მაგალითი თქვენთვის საგულისხმეო უნდა იყოს.

ბინაზე დაბრუნებისასთანავე ჯონ ჯოლი წერას შეუდგა. მას დიდი აღელვება და საქართველოსადმი უზომო თანაგრძნობა ეტყობოდა. მან დასწერა:


სინდისიც კარგი საქონელია! (ქართული თქმა)



— თფილისის ქუჩებში თქვენ ვერ შეხვდებით ვერც ერთ ადამიანს, განურჩევლათ სქესისა, ეროვნებისა, რწმენისა და მიმართულებისა, რომ თავზე ჰქონდეს საქონელი...

ჰრილობა აქვს მიღებული არა მარტო ადამიანებს, არამედ პირუტყვებსაც!.. აქ ვერ ნახავ ვერც ერთ ძაღლს, ცხენს, კატას რომ თავი შეხვეული არა ჰქონდეს.

სინდისიკ კარგი საქონელია! (ქართული თქმა)



ჯონ ჯოლი განაგრძობს!

— საქართველოს ჰყავს ჯარი და სახალხო გვარდია. ისინი ერთმანეთს სკამენ. ქუჩაში გვარდიელი და ჯარისკაცი ერთად ვერ გაივლის, უთუოდ ერთმანეთს დახოცენ და შემდეგ შესჭავენ. ქართველებს ბრძოლა არ ეხერხებათ: ჯარიც და გვარდიაც ერთთავად მხდალები არიან, სომხებს და თათრებს ამ მხრივ არა ჰგვანან!


სინდისიკ კარგი საქონელია! (ქართული თქმა)



— სახალხო გვარდიის ვინმე ჯუღელი ხელმძღვანელობს, ყოფილი მოსკოვის სტუდენტი. ის წინეთ ბოლშევიკი იყო და ახლა, როგორც კი დაინახავს რუსეთის ბოლშევიკებს იმ წამსვე თფილისში საბჭოთა მთავრობას გამოაცხადებს. ესთხოვ რედაქციას ამაში ექვი არ შეიტანოს. თანახმად ქართული ადათისა ფვიკავ ჩემს უღვაშებს,*) ცნობა სწორია. ვალიკო ჯუღელმა ძილი არ იცის, ვინაიდან მულამ დაფნის გვირგვინები და ნაპოლეონის სახელი ელანდება.

*)სანწუხაროდ კორესპოდენტს უღვაშები არა ჰქონდა. არ ვიცით ქოსა იყო თუ იპარსავდა.

სინდისიკ კარგი საქონელი! (ქართ. თქმა)



— ბატონი ჯუღელი, -განაგრძობდა კორესპონდენტი ჯონ ჯოლი, ძლიერ მოუსვენარი და პატივის მოყვარე კაცია. მას ერთ დღესაც არ შეუძლია უჩხუბრათ გასძლოს. იგი დღიან-ღამიანად ცხენზე ზის და ხელოვნურად ჰქმნის ფრონტებს. ჯერ იყო და სომხებს დაეცა, საბრალო ხალხი შევიწროვა. ახლა მას განზრახული აქვს ჩვენს, ინგლისის მოკავშირე აჭარისტანს დაეცეს და ჩვენი განუყოფელი ნაწილი ქ. ბათუმში წაგვართვას.

აი ასე მიუდგომლად, ასეთი სისწორით აღნუსხა ბ-მა ჯონ ჯოლმა ჩვენი ცხოვრების ყოველი წერილმანი და გააგზავნა ინგლისში, რომ მის თანამემამულეებს უტყუარი წარმოდგენა ჰქონდეთ ახლად განთავისუფლებულსა და საერთაშორისო ფერხულში ჩამბულ ბატარა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე.

ქართველო კორესპონდენტებო! ისწავლეთ უცხოელებისაგან, როგორ უნდა კორესპონდენციების წერა, როგორ უნდა ბატარა ერის დახმარება, როგორ უნდა სიმართლის, სიწმინდისა და სიფაქიზის დაცვა! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კორესპონდენტი ჯონ ჯოლის მაგალითი თქვენთვის ამ მხრივ ბევრი რამის მაჩვენებელი იქნება.

„სინდისიკ კარგი საქონელი“ — ტყვილად როდი ამბობს ქართველი ხალხი!

მგირფასი ოცდაექვსი

მთავარი სახელაოსნოები

რომ შემძლებოდა, ანგელოზად გადაიქცეოდი, ქარის სისწრაფით სიხარულის ფრთებს შევისხამდი, აღტაცებული მალლა ცაში აფვრინდებოდი ოცდა ექვს მაისს ჩვენს წინაპრებს მივულოცავდი: დედა სამშობლო —თარგამოსის შვილთ სატურფალი,

ტყვედ ქმნილი უკვე გადაუტრჩა მრავალ განსაცდელს! დიადი ბრძოლით გადალახა მტერი მუხთალი და მიადღწია შვის სინათლეს, ძვირფას საწადელს!

ნაზი მაისის „ოცდაექვსი“ ყელს მოიდერებს, ზეიმს გადაიხდის საქართველო თავისუფალი! რაინდი ერი კვლავ მოსეულ მტრებს მოიგვრებს, აღისფერ დროშებს გადმოხედავს განგების თვალი.

გიგო ხეჩუაშვილი.




— თვალსაჩინო წევრი გამგეობის ილიკო მანჯ-გალაძე ხანგრძლივ ძებნის შემდეგ აღმოჩენილ იქმნა. ის დატყვევებული ყოფილა ბათუმის საოლქო ციხეში, როგორც მავნე ელემენტი აჭარისტანის რესპუბლიკისა. ახლო მომავალში თანახმად გენერალ გუბერნატორის კოწია სულაქველიძის შუამდგომლობისა ის განთავისუფლებული იქნება, რის შემდეგ მიიწვევენ რკინიგზელთა თვდაცვის ბიუროს წევრად.

— რკინის გზის ფურნეები ამ ბოლო ხანს საუცხოვო ხარისხის მატლებს აცხოვბენ. სამწუხაროდ ხანდისხან მატლებში პური ურევია, რაც დიდ აღშფოთებას და უკმაყოფილებას ჰზადებს.

— რკინიგზელთათვის ცნობილს, ემიგრანტ სოლ. დოლიძეს სტატისტიკის მიხედვით საზღვარ გარეთიდან დაბრუნების შემდეგ წარმოუთქვამს 227 სიტყვა. აქედან მხოლოდ ორჯერ ნალაპარაკეში არ არის ნახმარი ფრაზა: „როცა მე შვეიცარიაში ვიყავი“.

ციც!

„უხვად დასწერდი, ზღვასაცა შესდის და გაედინების“.



თედორეს მწერლობა ბარაქით სჩვევიან:
 „ყვითელი ფურცელი“ თავს დაეფრქვევიან...
 და ყვითელ ფურცელსა შერთვა რა ინება,
 „ყვითელი ფურცლებიც“ მით გაედინება.

სამშობლოს ხსნა

დ. ხარავაული. გაგვიღიმა ბედმა. ჩვენი მწვავე მდგომარეობა ისტორიის ჩაბარდა. ჩაბარდეს. დიდი კვლევა-ძიების შემდეგ ამხ. ს. ბოკ-მა ამხ. თ. ნ-ლის სახლში აღმოაჩინა ფულის მდიდარი მადანი; აღმოჩენისთანავე მან დაარსა ეგრედ წოდებული „სცენის მოყვარეთა საზოგადოება,“ რომლის მიზანია გათხელებული ჯიბის გასქელება. მადნის დასამუშავებლათ საუკეთესო საშუალებათ მიჩნეულია ყოველ კვირა-უქმე დღეებში ყოველ წვერ-თათვის მორიგეობით იმართებოდეს საბენეფისო საღამოები ადგილების, რაც შეიძლება, მეტი ფა-

სებით, 300-600-მდის. საზოგადოება მეტად ცხოველ მყოფელი გამოდგა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ამ ქაშათ წვერთათვის ბენეფისები მეშვიდეჯერ იმართება, რიგში დგას ამხან. იორ. ნ-შელი; უკანასკნელმა ბენეფისმა დატოვა წმინდათ 40000 მან. იმ ხარჯების გამოკლებით, რაც მეორე, მესამე და სხვა დღეებში გაწეული იყო ამხანაგ მ. დევნის სამიკიტნოში; აშკარაა, ამხანაგობაში ჩაწერა მეტად ხელსაყრელია ყველასათვის, და ამხანაგობაც მოუწოდებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე უჩასაწერათ, რომ წელი გაუმავრონ ეკონომიურათ დაქვეითებულ სამშობლოს; ჩაწერა შეუძლია ყველას. მისამართი: სამიკიტნოს შესახვევი, ს. ბოკ. ანკ. გ. უთო.

სტამბოლისკენ.



1-მათი აღმატებულება. თქვენო აღმატებულებზე გზა დიდი გვაქვს, შეგვიძლია საკმაოდ შევისწავლოდ თათრული ენა. ამბობენ ადვილიაო...

2-მათი აღმატებულება. ქართული ვისწავლეთ, თქვენო აღმატებულებზე, — ფოთმა არ მიგვიღო, სამშობლო ენამ ბათუმი დავაკარგინა, ახლა მარტო თათრულია დავგრჩენია.



ზესტაფონი.

მიმართვა ბ-ნ ეშმაკს და თავუნას!

ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მოწმენი, ქ. ზესტაფონის მცხოვრებნი, ტომით ს-დემოკრატნი, მაპრობითი სქესისანი კიკო და სიკო, მოგმართავთ თქვენ შემდეგი თხოვნით: მთელი შორაპნის მაზრა, და კერძო კი ქ. ზესტაფონი მოკლებულია თქვენი წყალობის თვალს. იმდენათ წათამამდა ადგილობრივი საზოგადოება და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით საქმის ხალიც, რომ დაივიწყდათ ყველაფერი, რაც ყოველმა მოქალაქემ მამაოჩვენოსავით უნდა იცოდეს. ამიტომ ჩვენ, კიკომ და სიკომ, საქიროთ დავინახეთ გაგაცნოთ თქვენ ყველაფერი საქმენი სამართახენი, მაგრამ ვიდრეზღის ჩვენ, კიკო და სიკო, თქვენი სამეფოს მოქალაქეთ არ ვითვლებით, მოვიხზოვთ შემდეგს: 1). დაუყოვნებლივ ვიქნეთ ჩარიცხული თქვენს ლაშქართა სიაში, 2. მოგვეცეს უფლება თავისუფალი წერისა, რომლის გამოცხადებაც „ეშმაკის მართახში“ თქვენთვის სავალდებულო არ იქნება:

და მ. მოგვეცეს სრული გარანტია, რომ თქვენ ჩვენ შრომაში სასყიდელს არ შემოგვთავაზებთ.

უკეთუ ზემოთ ჩამოთვლილი მუხლები თქვენ მიერ იქნება მიღებული, ჩვენ, კიკო და სიკო, ვღებულობთ თქვენს წინაშე შემდეგ ვალდებულებათა შესრულებას: 1. ვწეროთ ცოტა; და ვწეროთ მიუღლოვლათ; 2. არ დავტოვოთ უმადური არავინ, ვინც კი იქნება ღირსი მართახის კულისა და მ. ვიქნათ პასუხისმგებელი ჩვენს მოქმედებაში მხოლოდ თქვენს წინაშე. *)

კიკო და სიკო.

*) რედაქცია „ეშმაკის მართახისა“ სავრებით ღებულობს ბ-ნთ კიკოსა და სიკოს წინადადებას.

ეშმაკი და თავუნა.

ხიდები ქალაქ ზესტაფონისა. ამ ქალაქს მაზრის სამხრეთ ნაწილიდან აერთებს ორი ხიდი მდინარე ყვირილაზე, რომელთაგან ერთი (ზედა ხიდი) კარგა ხანია ჩანგრეულია. მასზე ქვეითადაც საბიუთთა გასვლა. ხიდის ასაშენებლათ მიღებულია ზომები, როგორც ამბობენ, ერობას ტენიკოსები გაუგზავნია ავსტრალიაში ხიდისათვის საქირო მასალების შესაძენათ.

რაც შეეხება მეორე (ქვედა) ხიდს, ამსამი თვის წინათ ვილაც ბოროტ გამზრახველებმა (ზოგიერთები მდინარესაც კი აბრალებენ) ხიდის სამხრეთის ნაწილი ააფეთქა. რათა შემდეგში თავიდან აიცილოს ქალაქმა ხიდის მოსალოდნელი აფეთქება, გადაუწყვეტია — ხიდი აღარ იქნას შეკეთებული.

განათება. ვინაიდან ქალ. ზესტაფონში ხშირათ და მოულოდნელად ქრება ელექტრონის ლამპები, ქალაქის მოურავმა განკარგულება გასცა, რათა სრულიად დაიხუროს ელექტრონის სადგური და გამო-

ეცხადოს მცხოვრებთ, რომ ყველამ იზრუნოს ისევ თავისათვის საქირო განათებაზე. ამასთან ერთად როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ქალაქ შეუკვეთია შრომის ქურჭლეულობის ქარხანაში ერთი ვებერთელა დინამომაშინა: 1500 ვირის ძალისა, რომელმაც უნდა გაანათოს მთელი შორაპნის მაზრა, გარდა ქალ. ზესტაფონისა.

ვაჭრობა-მრეწველობა.

მუნიციპალური ვაჭრობა-მრეწველობა შორაპნის მაზრაში ჩინებულათ მიდის. სამაზრო ერობა ხსნის საყვარიაში ახალ ქარხანას. ქალაქმასურსათის კრიზისის შესამსუბუქებლათ უკვე გამოიწერა ერთი ვაგონი ქინძისთავი და რამოდენიმე ვაგონი მუხის ქერქი. საზოგადოება რაგშია ჩამდგარი სანოვანის მისაღებათ.

კიკო და სიკო.

ვაი დედავ!

ვაი დედავ, მტკივა თავი...
ლამის ამძვრეს ზურგზე ტყავი,
მინც არ დამიდგა ხევი
რომ მეშოვნა საცოხნავი.

ვაი დედავ, მტკივა ტვინი...
ვის არგუნეს ორდენ ჩინი?
დროც ბევრი აქვს დასაძინი,
გავხდი ქვეყნის გასაცინი.

ვაი დედავ მტკივა თვალი...
სულ შენია, დედი, ბრალი,
რათ გამზარდე გულ მართალი,
თუ არ იყო სამართალი.

ვაი დედავ მტკივა ცხვირი...
არც ცხენი მყავს, არცა ვირი,
კარს მომადგა გასაქირი,
თან მაწუხებს კუქის გზირი.

ვაი დედავ, მტკივა ენა...
სიმშილი და ამოდენა?!
არ ვის უნდა თხოვნის სმენა,
ცულ უბრალოდ თავის ტკენა.

ვაი დედავ მტკივა ყური...
არვინ მომცა ლუკმა ჰური,
ვისაც ვსთხოვე მკრეს პანლური
(დამიფასეს სამსახური!)

ვაი დედავ, მტკივა ყელი...
„ერთსაც ვსთხოვე პასუხს ველი“,
ეგებ მომცეს ძმურად ხელი,
შემისრულოს სანატრელი.

ვაი დედავ, მტკივა გული...
არც ბონი მაქვს, არც სხვა ფული,
თუმც გვეღირსა გაზაფხული
ლუკმისა ვარ დღეს ნატრული.

ვაი დედავ, მეწვის კუქი...

ეს ქვეყანა არის ფუჭი,
 სიმშლისა მკლავს მუხრუჭი,
 თვალნი მზად მაქვს დასახუჭი.
 ვაი ღელავ, მტკივა წელი...
 ნაწლავები და მუცელი.
 უსაქმურად დამღა ხელი
 რომ მეზოვნა საცონელი.
 ვაი ღელავ, მტკივა თვალი,

არც ბეგი ვარ, არცა გლეხი,
 არ მაქვს მკადის მონატეხი,
 ამ სიცოცხლეს დავეც მუხი.
 ერთი სიტყვით, მტკივა ყველა,
 უბუ უბუ ესეც ხველა.
 ნუ თუ შეღირსება შეველა?!
 ვაქარიც მწოვს ვით წურბელა.
 ან. განჯის-კარელი

ფოთის მილიცია.



ფოთის მილიციამ გადასწყვიდა თეატრში წესრიგის დასამყარებლათ დასდგას ტყვიისმტრქვეველი, გონაიდან თოფებით არაფერი გამოდის.

ეირიმის ბელაური.




ინგლისელი. გასულ ზამთარში რაც შემეძლო ვხედნე, ეხლა კი დავარდა. თუ ამ ზაფხულზე იმ დათვმა არ შექვამა... ვინ იცის, შეიძლება... მაგრამ არა, მე, როგორც ჯენტლემენს, ოცნება არ შემზგენის.

ვაგონ-რესტორანში.




გლეხი. (კონდუქტორს) უკაცრავით... ჩემო ბატონო, ვინ არიან აი ეს პაციონტები?
 კონდუქტორი. ვერ ხედავ, კაცო, ლტოლვილები არიან...
 გლეხი. ლტოლვილები? ბიჭოს, მერე ასე რამ გასუქა?
 კონდუქტორი. სულელი ხომ არ ხარ, კაცო, ვერა ხედავ, შიმშილით არიან დაბიჭინებული?..

ამანგეც ამა ამაღმბეაგ



ააღმთ, ამაგანმცე

ბაქოს ოინები.



ბაქოს კომუნისტებმა საქართველოს დასაპრობათ შეადგინეს „ქართული პოლკი“. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ პოლკში ერთი ქართველიცრა ჩარიცხულა.

იანდეს თა აბა მქაღნეფი



ს. მგლაზავიძე

სახელმწიფო სტამბა.